

**THE DRAMA OF LANGUAGE CONSTRUCTION:
BOLSHEVIK POLICY OF LINGUISTIC FUSION**

(Abstract)

KEYWORDS: Linguistics, Politics, Abkhazia, Georgia, Russia, Moscow, Kremlin, Bolshevik Politics, Stalin, Language Fusion

The monograph by Gvantsa Gvantseladze, Teimuraz Gvantseladze, Sofiko Chaava, and Monika Khobelia, *The Bolshevik Concept of Language Fusion and Language Policy in Abkhazia in the 1930s*, is a clear and important contribution to the study of Soviet language policy and imperial rule. The authors situate Abkhazia within a broader Bolshevik strategy, rooted in Leninist–Stalinist doctrine, in which language policy was centrally planned and enforced to promote linguistic assimilation. Within this framework, the deliberate replacement of minority languages by dominant scripts and registers served the goals of cultural and administrative consolidation.

The book advances a clear thesis: Soviet language engineering pursued a deliberate, centrally directed logic that first suppressed minority vernaculars, then curtailed languages tied to territorial autonomies, and finally subordinated titular languages in allied republics; Abkhaz linguistic change in the 1930s exemplifies this broader, continuous programme.

A key section treats orthographic politics as a vehicle for this programme. The authors provide a thoroughly documented account of successive orthographic reforms in interwar Abkhazia.

Their analysis of the 1926 adoption of Niko Mari’s “analytical” script is sharp: Mari’s orthography was complex and ill-suited to standardisation. The researchers treat its selection not as a neutral philological choice but as part of the politically driven Latinisation campaign then underway. Mari’s system was soon replaced by a Latinised orthography promoted by the circle around Nikolai Yakovlev (including Evgeny Polivanov, Samson Chanba and Mushni Hashba). The monograph presents that replacement as the outcome of a centrally managed campaign of script reform deployed for ideological and administrative ends, not merely as a pedagogical correction.

The authors reconstruct the 1937–38 switch to the Georgian Mkhedruli script as a logical continuation of this trajectory. They view the conversion as part of the same centralising tendency: it subordinated smaller languages to larger national forms to serve the centre’s political and integrative aims. They also acknowledge complexity: Stalin-era measures, such as the zonal-language concept, introduced exceptions that conditioned outcomes. These contingencies, the authors argue, produced latent and sometimes acute ethnic tensions—particularly between Abkhazians and Georgians—whose effects extended beyond the immediate policy moment. Their account thus combines a structural reading of central planning with close attention to local dynamics and the social consequences of technocratic intervention.

Methodologically, the study is grounded in extensive archival research. Drawing on records from Moscow, Tbilisi and Sukhumi, the authors assemble a wide range of documents—decrees, circulars, orders, constitutional texts and contemporary press material—much of it newly introduced into scholarly discussion. They organise this corpus systematically to

reconstruct decision-making with notable granularity. Importantly, they do not treat documents as self-explanatory: instead, sources are situated within their institutional and ideological contexts, subjected to critical scrutiny, and compared with official Soviet framings. By proceeding in this way, the authors correct earlier accounts that accepted party rhetoric at face value or reduced linguistic change to benevolent modernisation.

Historically, the study is focused and rigorous: the authors concentrate on the interwar decades, survey scholarship on Soviet linguistics, nationalities policy and Caucasian studies, and correct Soviet-era distortions. From that corrective base, they revise the chronology, authorship and provenance of reform instruments and shift from historiographical overview to documentary case evidence, demonstrating that script change was a politically charged act of governance. Their argument is consistently evidence-driven and proceeds through documentary demonstration rather than polemic.

Beyond its archival depth and historiographical reappraisal, the monograph makes a significant conceptual contribution to debates on imperial modernity and Soviet rule. After defining and tracing the mechanisms of “language fusion,” the authors show how linguistic standardisation operated as an instrument of state formation. Moving from mechanism to consequence, they demonstrate that language policy reshaped political belonging, administrative practice and cultural recognition. Consequently, they argue, Soviet language planning cannot be reduced to literacy or pedagogy but functioned as a central axis of power that reconstituted centre–periphery relations.

The book’s findings on human consequences are both persuasive and sobering. The authors document how centrally

imposed decisions on script and schooling disrupted local intellectual networks, undermined intergenerational transmission of vernaculars and generated social anxieties that intersected with ethnic resentment. Their narrative connects institutional decisions to lived experience, showing how policy mechanisms produced linguistic dislocation. These human-centred findings lend the study moral weight without compromising analytical rigour.

The critiques are limited and concern scope, not core findings. A wider comparative study of contemporaneous script reforms would clarify how distinct the Abkhaz case was and the degree of local resistance or accommodation. Closer engagement with work on language ideology and nation-building would sharpen the concept of “fusion.” Taken together, these suggestions point to useful directions for further research that would strengthen and extend the monograph’s conclusions.

In sum, *The Bolshevik Concept of Language Fusion and Language Policy in Abkhazia in the 1930s* is a rigorous, well-documented and intellectually ambitious study. It reconstructs the policy processes that produced the 1930s linguistic transformations with clarity and evidentiary depth, situating the Abkhaz experience within a coherent account of Soviet imperial language politics. Combining archival scholarship, critical engagement with existing literature and attention to social consequences, the work will be indispensable to scholars of Soviet language planning, Caucasian history, and the politics of cultural assimilation.

ენობრივი მშენებლობის დრამა: ბოლშევიკური ენათა შერწყმის პოლიტიკა

საკვანძო სიტყვები: ლინგვისტიკა, პოლიტიკა, აფხაზეთი, საქართველო, რუსეთი, მოსკოვი, კრემლი, ბოლშევიკური პოლიტიკა, სტალინი, ლენინი, ენათა შერწყმა

რუსეთის იმპერიის საბჭოთა ბიოგრაფიაში ტერმინი „ენობრივი პოლიტიკა“ უნდა შეცვლილიყო ტერმინით „ენობრივი მშენებლობა“. რა აუცილებლობას გამოეწვია ეს ცვლილება და რას მოასწავებდა?

რას და: ენობრივი პოლიტიკის მართვის ტექნოლოგიაც დაფუძნებოდა პირამიდის პრინციპზე აგებულ მკაცრ იერარქიულ სისტემას, როგორც ნაწილი იმ პროცესისა, მთელ იმპერიაში უკლებლივ ყველა დაწესებულება ამ იერარქიას რომ მორჩილებდა: სამეურნეო-ეკონომიკურიც, კულტურულიც, საგანმანათლებლოც და ძალოვანიც.

და თუკი გვინდოდა გავრკვეულიყავით, თუ ვინ და როგორ გეგმავდა, აფინანსებდა და აკონტროლებდა ენობრივ პოლიტიკას 30-იანი წლების აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, უსათუოდ უნდა გათვალისწინებულიყო ეს საერთო ფონი ენობრივი მშენებლობისა.

აქამდე ქართველი, აფხაზი თუ უცხოელი მეცნიერები და პოლიტიკოსები ცალმხრივად და

მცდარად გაიაზრებდნენ ამ უაღრესად მწვავე პრობლემას, რაკილა ვიწროდ უყურებდნენ: ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის ვიწრო რაკურსში და არა იმ ერთიან ფონზე, გათვალისწინებით ზოგადსაბჭოური სპეციფიკისა, კონტექსტისა, ანალოგიებისა და იმ პროცესებისა, რაც ხდებოდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებშიც.

მხედველობის მიღმა რჩებოდა ის დოკუმენტური მასალა, რომელშიც ასახულიყო ზოგადი იმპერიული ტენდენციებისადმი მიმართება აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისა.

მოსაძიებელი გახლდათ მთელი ეს მასალა, დასალაგებელიც, დასახარისხებელიც და დეტალურად გამოსაძიებელ-გასაზრებელც, რაც კიდევ უნდა განხორციელებულიყო გვანცა გვანცელაძის, თეიმურაზ გვანცელაძის, სოფიკო ჭაავასა და მონიკა ხობელიას ერთობლივ მონოგრაფიაში „ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია და ენობრივი პოლიტიკა 30-იანი წლების აფხაზეთში“ („უნივერსალი“, 2024).

წიგნი მომზადდებოდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში და კიდევ ხელშესახებად უნდა დადასტურებულიყო, 1920-1930-იანი წლების აფხაზეთში მიმდინარე ენობრივი პროცესები მთლიანად ზოგადბოლშევიკური პოლიტიკის ნაწილი რომ გახლდათ და იმართებოდა მოსკოვიდან, კრემლიდან.

ბოლშევიკურ პოლიტიკურს წელიწადში რამდენჯერმე უნდა განეხილა ენობრივი პოლიტიკის

როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხები: ახალ დამწერლობათა შექმნაც და არსებულ დამწერლობათა ლათინიზაციაც, იმავე დამწერლობათა გადაყვანაც რუსულ გრაფიკაზე, ეროვნულ ენებზე სწავლებაც, ეროვნულ მწერლობათა მდგომარეობაც, მასმედიის მუშაობაც სხვადასხვა ენაზე, საგამომცემლო საქმეც, ტოპონიმთა ცვლაც, სხვადასხვა ენაზე მომუშავე თეატრებისა და კლუბების საქმიანობაც, ეთნიკურ უმცირესობათა ენების მდგომარეობაც.

იგეგმებოდა სიახლეები, იკრძალებოდა ცალკეული პროცესები და ყველა ეს გადაწყვეტილება იმპერატიული ხასიათისა გახლდათ და მისი დარღვევა ვერავის უნდა გაეხებოდა.

დოკუმენტურ ტექსტებში გამონაკლსებიც საგანგებოდ თუ სახელდებოდა, მათ ვერავინ შეცვლიდა და თუ გამონაკლისი არ იხსენიებოდა, ადგილებზე მისი დაშვება არავის ეპატიებოდა.

ენობრივი მშენებლობის დროსაც იგივე ვითარება სუფევდა, რაც ნსანდობლივი ყო საბჭოთა მართვის სტილისათვის.

არცთუ იშვიათად, თვით მოსკოვის ინსტანციებში ადრე მიღებული და მოწონებული გადაწყვეტილება გარკვეულ დროის შემდგომ მავნებლობად, ხალხის მტრებისა და კონტრრევოლუციონერთა მიერ განხორციელებულ დივერსიად ცხადდებოდა და აღმსრულებელთ უმკაცრესად სჯიდნენ.

ასე გახლდათ და: დანაშაულად შეირაცხებოდა იმის კეთება, რაც ადრე სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, მისი ორგბიუროსა და პოლტბიუროს მიერ ერთადერთ სწორ საქმედ აღიარებულიყო.

იმპერიულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია ემყარებოდა ლენინ-სტალინურ კონცეფციას მსოფლიო ენათა გარდუვალ შერწყმა-გაქრობის შესახებ, რაც უნდა მომხდარიყო ძალადობრივი გზით:

ჯერ ეთნიკურ უმცირესობათა ენები უნდა გამქრალიყო.

მერე ავტონომიებისა.

ბოლოს კი მოკავშირე რესპუბლიკების სატიტულო ენებიც.

ესეც ის სტრატეგიული ხაზი, რომლისგანაც კომუნისტები არასოდეს გადაუხვევდნენ.

და, ეს ტოტალური პროცესი, ცხადია, აისახებოდა აფხაზურ ენაზეც, რომელსაც:

ჯერ ორჯის გადაიყვანდნენ ლათინურ გრაფიკაზე და შემდეგ უკვე ქართულ გრაფიკაზე.

როდესაც 1926 წელს აფხაზურ ენას შეურჩევდნენ ნიკო მარის ურთულეს „ანალიზურ“ დამწერლობას, მონოგრაფიის ავტორთა მოსაზრებით: ეს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე ლათინიზაციის პოლიტიკებზელი პროცესის ორგანულ ნაწილს და საკითხის დასმაც და გადაწყვეტაც მხოლოდ მოსკოვის პრეროგატივა გახლდათ.

ეს ანბანი სირთულის გამოისობით რომ არ გაამართლებდა?

ამიტომ ამ ენას გადაიყვანდნენ ნიკოლაი იაკოვლევის ჯგუფის: ევგენი პოლივანოვი, სამსონ ჭანბა და მუშნი ჰაშბა, მიერ შექმნილ ლათინიზებულ დამწერლობაზე.

და ეს გადაწყვეტილება არც სოხუმში დაიკვევებოდა და არც თბილისში, არამედ

მომდინარეობდა მოსკოვიდან, როგორც იმავე ლათინიზაციის ტოტალური პროცესის ორგანული ნაწილი.

ეს გარემოებანი საშუალებას მისცემდათ მონოგრაფიის ავტორებს, გამოეთქვათ საკვებით ლოგიკური და დამაჯერებელი ვარაუდი: აფხაზური ენსათვის 1937 წელს ქართული გრაფიკის მხედრულის საფუძველზე დამწერლობის შექმნა და 1938 წელს მისი პრაქტიკული დანერგვაც უნდა ყოფილიყო ბოლშევიკური ტოტალური პროცესის ორგანული ნაწილი.

სხვაგვარად ან კი რატომ ახსნილიყო, როდესაც:

საბჭოთა რეჟიმი ყველა საკითხს მხოლოდ ტოტალური პოზიციიდან განიხილავდა და წყვეტდა.

ლათინურ დამწერლობას თავს რომ მოახვედნენ 70-ზე მეტ ენას, დატოვებდნენ რამდენიმე ენას, რომელთაც გრაფიკა არშეეცვლებოდათ ანუ გამონაკლისთა შორის აღმოჩნდებოდნენ: უკრაინულს, ბელარუსულს, ქართულს, სომხურსა და ზოგ უმცირესობას — ბერძნულსა და ბულგარულს.

როცა მასობრივი ლათინიზაციის დროს რეჟიმი ამდენ გამონაკლისს დაუშვებდა, მონოგრაფიის ავტორები ბუნებრივად მიიჩნევენ რომ: გამონაკლისთა შორის უნდა გვეგულისხმა აფხაზური ენის გადაყვანაც ქართულ სადამწერლობო სისტემაზე იმ დაზუსტებით: ამ აქციას ფარული ნაღმიც რომ მოჰყვებოდა — გაედვივებინა დაძაბულობა აფხაზთა და ქართველთა შორის.

გამონაკლისის დაშვების მეორე ფაქტორად მონოგრაფიის ავტორები შემოგვთავაზებენ სტალინის კონცეფციას ზონალური ენების შესახებ.

ეს კონცეფცია რას ამტკიცებდა და:

თავდაპირველად უნდა შექმნილიყო არა ერთი, ყველა ერისათვის საზიარო ეკონომიკური ცენტრი ერთა ცალკეული ჯგუფებით, და არა ერთა ყოველი ჯგუფისათვის საზიარო ენით.

ამ კონცეფციიდან მონოგრაფიის ავტორები ლოგიკურად ივარაუდებდნენ რომ:

ბოლშევიკებს საბჭოთა კავშირის სახით უკვე მქონდათ საქმე მინიატურულ მსოფლიოსთან და მასში „გამარჯვებულ სოციალიზმთან“, აგრეთვე, ასეულობით თუ არა, ათეულობით ენასთან მანც, რომელთა რაოდენობასაც დასჭირდებოდა „ოპტიმიზაცია“, ანუ, მინიმუმამდე შემცირება.

ამ გეგმის შესრულებას რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერებასთან ერთად, დასჭირდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების სატიტულო ხალხთა ენების გადაქცევაც „ზონალურ ენებად“ და უმცირესობათა ენების გაქრობაც.

სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება ვარაუდი, თუ რა იგეგმებოდა საქართველოში კრემლის მიერ:

ვიდრე ქართული ენა შეერწყმოდა და შეეწირებოდა რუსულს, მანამდე ყველა უმცირესობის ენა უნდა შერწყმოდა ქართულს, რომელიც ამ გზით უნდა გადაქცეულიყო ზონალურ ენად. ამ მიზნის მიღწევა კი დამწერლობის მეშვეობით უნდა გააღვილებულიყო.

არ მოიპოვება ამ ვარაუდის დამადასტურებელი რიმე დოკუმენტი, გარდა სტალინის კონცეფციისა?

თუმც, უფრო მეტი დოკუმენტი რაღა უნდა იყოს, ვიდრე ეს კონცეფციაა!

და ეს ახსნა სწორედაც რომ უნდა უახლოვდებოდეს სინამდვილეს.

საერთოდ კი, ზოგადსაბჭოური ფონის გათვალისწინებით, ენობრივი მშენებლობის გასააზრებლად, მონოგრაფიაში თავი უნდა მოეყარა დიდძალ დოკუმენტურ მასალას, შედგენილს მოსკოვში, თბილისში, სოხუმსა თუ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში: დადგენილებები იქნებოდა, ცირკულარები, დებულებანი, კონსტიტუციები, ბრძანებანი თუ მოხსენებითი ბარათები.

ამ მასალების დიდი ნაწილი პირველად რომ უნდა შემოსულიყო სამეცნიერო მიმოქცევაში.

აგრეთვე ბლომად დამუშავებოდა იმდროინდელი პრესის მასალები. მკვლევრები გაითვალისწინებდნენ ყველა ნაშრომს, რაც ამ თემაზე შექმნილიყო. თავიანთ მხრივ კი, სრულიად გაემიჯნებოდნენ მცდარ სტერეოტიპებსაც და კომუნისტურ იდეოლოგიებსაც, რომელთა გავლენასაც ბევრი მკვლევარი ვერ დაადწვედა თავს.

საგულისხმოა, რომ მაქსიმალურად შეიკავებდნენ თავს საპირისპირო თვალსაზრისის მქონე კონკრეტულ ავტორებთან პოლემიკისგან და არც საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვას წარმოადგენდნენ, რადგანაც: მათთვის მთავრი გახლდათ არა ამა ტუ იმ მეცნიერთან დაუსრულებელი კამათი, არამედ, კონკრეტულ პრობლემათა კვლევა დოკუმენტებსა და ლოგიკურ მსჯელობაზე დაყრდნობით, რასაც ასეთი სიღრმითა და დახვეწილობით შეასხამდნენ ხორცს.

ამიტომაც გვაქვს ხელთ ასეთი სანდო და დამაჯერებელი სურათი 30-იანი წლების დრამატიზმისა ამ მრავალმხრივ მნშვნელოვანი მონოგრაფიის სახით, არამცთუ იმ ეპოქის სულში რომ გვახედებს, არამედ,

მეგზურად გამოგვადგება ენობრივი მშენებლობის რუსული იმპერიული პანორამის მთელი საზარლობისა და ტრაგიზმის შესაგრძობადაც და შესაცნობადაც.

ლიტერატურა □ References

1. გვანცა გვანცელაძე, თეიმურაზ გვანცელაძე, სოფიკო ჭაავა, მონკა ხობელია (2024). ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია და ენობრივი პოლიტიკა 30-იანი წლების აფხაზეთში (მონოგრაფია). თბილისი: „უნივერსალი“.